"SEA PRODUCTS" LTD
ID CODE 415080860
Poti, 4400, Larnaka str. Republic of Georgia
Tel: 551234667
info@seaproducts.ge

№ 36

14 აგვისტო, 2020 წელი

შ.პ.ს. „ზღვის პროდუქტები“ ს/კ415080860

ქ.ფოთი, ლარნაკას ქუჩა

დირექტორი: დავით წიწილაშვილი

ელ.ფოსტა: sardixelaia@mail.ru

ტ. 551-23-46-67

საქართველოს გარემოს დაცვის და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „ზღვის პროდუქტები“-ს ხობის რაიონში, სოფელ პატარა ფოთში, ს/კ45.08.25.043, გააჩნია თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო (ტერიტორიის GPS კოორდინატები: X=228225.0; Y= 4675280.0).

საწარმოო ობიექტის მიერ, დამუშავებული ბიზნეს გეგმის თანახმად, საქმიანობა სეზონურია და იგეგმება წელიწადში ხუთი თვე – ნედლეულის მოპოვების სფეციფიკიდან გამომდინარე. საწარმოში განზრახულია ყოველდღიურად 1000 ტონა ნედლეული მასალის - შავ ზღვაზე მოპოვებული თევზის (ქაფშია და მერლანტი) გადამუშავებიდან თევზის ფქვილისა (დაახლოებით 150 ტ/დღე-ღამეში, 150 000 ტ/წელ) და თევზის ზეთის (დაახლოებით 70 ტ/დღე-ღამეში, 10500 ტ/წელ) დაფასოება-გამოშვება. საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოიქმნება ჩამდინარე წყლები დღე-ღამეში 80 $მ^3$-ის ოდენობით.

აღნიშნულ საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები გამოირჩევა ჟბმ, ჟქმ, ფოსფორის, შეწონილი ნაწილაკების, ტემპერატურის მომატებული სიდიდეებით. ასევე ჩამდინარე წყალი საჭიროებს pH კორექციას.

2019 წლის 20 დეკემბრის წყლის ანალიზის შედეგებმა აჩვენა ჩამდინარე წყლებში მათი შემდეგი სიდიდეები (მგ/ლ):

- ჟბმ 5 -- 113.25
- ჟქმ - 78.19
- საერთო ფოსფორი - 7.7
- საერთო აზოტი - 35.20
- შეწონილი ნაწილაკები - 4317

ამასთან, წყლის ტემპერატურა შესაძლოა აღწევდეს - 32 გრად. C.

№ 13011
17 " 08 20 20
8 ფ.

წყლის სადღეღამისო ხარჯი - 80 $მ^3$/დღ;

წყლის საათობრივი პიკური ხარჯი - 3.3 $მ^3$/სთ.

ყოველივე აქედან გამომდინარე საჭირო გახდა აღნიშნული ჩამდინარე წყლების გაწმენდა და გაწმენდის შემდგომ მათი სიდიდეების ნორმაში მოყვანა.

ამგვარი ტიპის ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის შემოთავაზებული იქნა გაწმენდის ისეთი ტექნოლოგია, რომელიც არ საჭიროებს გაწმენდის პროცესში ტემპერატურის დაწევას. წყლის გაგრილება მოხდება გაწმენდის პროცესის შემდეგ.

გაწმენდის პროცესი წარმოადგენს ერთი სტადიის გამწმენდს, რომელიც შედგება მიმდევრობით შემდეგი საფეხურებისაგან:

1. pH კორექცია - ამ საფეხურზე ქიმიური საშუალებებით ხდება წყლის pH განეიტრალება - ინტერვალი 6-8,5
2. კოაგულაციისა და ფლოკულაციის საფეხური - ამ საფეხურზე ხდება ელექტრული მუხტის განეიტრალება, შეწონილი ნაწილაკების ფანტელებად შეკვრა და ფოსფორის მოშორება.
3. პირველადი სალექარი ლამი სგამამკვრივებელითა და საფხეკით - პირველადი სალექრიდან გამომავალი წყლის პარამეტრები მოექცევა შემდეგ ზდკ-ს ინტერვალებში (მგ/ლ):

   ჟბმ 25;

   ჟქმ 125;

   საერთო ფოსფორი 2;

   შეწონილი ნაწილაკები 60.

ამის შემდეგ წყალი გაივლის გაგრილების საფეხურს და სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს ჩამდინარე წყლის ჩაშვების ნორმებს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შ.პ.ს. „გეოფიშ კომპანი"-ის თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის (სალექარის) მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

როგორც უკვე აღინიშნა საპროექტო სალექარის, ასევე თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს განთავსების ნაკვეთი მდებარეობს ხობის რაიონში, სოფელ პატარა ფოთში, ს/კ45.08.25.043. ნაკვეთს სამხრეთის მხრიდან 150 მეტრში გადის მდინარე რიონი, ხოლო რიონზე გადასასვლელი ხიდი მისგან ასევე სამხრეთით დაშორებულია 250 მეტრით. ნაკვეთის აღმოსავლეთით გზის მეორე მხარეს 500 მეტრში მდებარეობს სასაწყობო ტერმინალები. ტერიტორიის ჩრდილოეთით და დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთები, რომლებიც ამ პერიოდისათვის თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან.

უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებული იქნება 800 მეტრი მანძილით.

საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის (სალექარის) სქემა მოცემულია ნახ. 1-ში.

ნახ. 1. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის (სალექარის) სქემა.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ზღვის პროდუქტები"-ს თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს გააჩნია პროდუქციის საწარმოებლად შემდეგი მატერიალურ – ტექნიკური ბაზა:

1.საწარმოო ტერიტორია – 19 288კვ.მ. მიწის ნაკვეთი;

2.საწარმოო კორპუსი (შენობა);

3.სასაწყობო მეურნეობის კორპუსი (შენობა);

4.გამშვებ-საყარაულო პუნქტი (შენობა) ;

5.მძიმე ავტომანქანების ასაწონი სასწორი – 1 ერთეული;

6.თევზის ნედლეულის მიმღებ – შესანახი ავზი - 300 ტ-ის ოდენობით;

7.ელექტრო ქვესადგური – 1 ერთეული;

8.ბეტონის ღობე – მთელი ტერიტორიის პერიმეტრზე;

9.ტექნოლოგიურ ხაზში შემავალი მანქანა დანადგარები:

- ხრახნული ტრანსპორტიორი თევზის ნედლეული ავზიდან სახარშ ტანკში ჩასატვირთად;

- უწყვეტი ქმედების ვაკუუმ – ჰორიზონტალური თევზის სახარში ქვაბი (სრული კომპლექტი), წარმადობით 1000 ტ. დღე-ღამეში – 2 კომპლექტი;

- უწყვეტი ქმედების წნეხი (სრული კომპლექტი) – 2 კომპლექტი;

- სეპარატორი, მოხარშული მასიდან ზეთისა და სითხის გამოსაცლელად – 4 ერთეული;

- ხრახნული ტრანსპორტიორი (სხვადასხვა ზომის) ;

- უწყვეტი ქმედების თევზის საშრობი დანადგარი, წარმადობით თითოეულის 30 ტ. დღე-ღამეში – 6 კომპლექტი;

- უწყვეტი ქმედების თევზის ფქვილის დამაქუცმაცებელი (დასაფქვავი), სიმძლავრე 75 ტ.სთ-ში–2 ერთეული;

- ფქვილის დამფასოებელი მოწყობილობა – 2 ერთეული;

- ორთქლის მწარმოებელი ქვაბი (სრული კომპლექტი), 16 ბარელ. სიმძ.ლავრის – 2 კომპლექტი;

- ტექნოლოგიური პროცესის ავტომატური მარეგულირებელი მოწყობილობა – 1 კომპლექტი;

- ზეთის მიმღებ–შესანახი ცისტერნები თავისი გამაცხელებლებით 2 ერთეული, თითოეული 1000 ტნ-ის მოცულობის;

- თევზის ფქვილის საშრობიდან გამოსული აირმტვერნარევის გამწმენდი დანადგარი (ციკლონი)– 2 ერთეული;

- თევზის დასაფქვავი დანადგარებიდან გამოსული აირმტვერნარევის გამწმენდი დანადგარი (სახელოებიანი ფილტრი) – 1 ერთეული;

- სამრეწველო და ტექნოლოგიური პროცესების სამართავი პულტი – 1 კომპლექტი;

- სასმელი და სამრეწველო წყლის რეზერვუარი, სატუმბი მოწყობილობებით – 1 კომპლ;

- წყლის შესანახი ცისტერნა – 2 (თითოეული 50 ტ. მოცულობის).

ტექნოლოგიურ ხაზში შემავალი მანქანა-დანადგარები, საქვაბე მეურნეობა, აგრეთვე სამრეწველო და სატრანსპორტო დანადგარები არის უცხოური წარმოების – დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და თურქეთის ფირმების მიერ გამოშვებული.

საწარმოო პროცესის მიმდინარეობისას წარმოიქმნება არასასიამოვნო სუნი.

არასასიამოვნო სუნის მქონე ნივთიერებები წარმოადგენენ გარემოს დამაბინძურებელ სპეციფიკურ ნივთიერებებს, რომელთა წარმოქმნა ხდება ძირითადად ცხოველური მედლეულის, მათ შორის თევზის გადამუშავების, ტექნოლოგიურ პროცესში.

არასასიამოვნო სუნის მქონე ნივთიერებების კლასიფიკაცია სწარმოებს სუნის წარმოქმნის წყაროსა და სუნის ტიპის მიხედვით და მრავალი სახისაა.

არასასიამოვნო სუნის მქონე ნივთიერებების (შემდგომში ასნ) გამოიყოფა და მათი ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა განსაკუთრებით ინტენსიურია თევზის ნედლეულისაგან მშრალი ფქვილის მიმღებ წარმოებებში.

ტექნიკური ნედლეულის (თევზის) გადამუშავება სწარმოებს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული ვაკუმური სახარში (პერიოდული მოქმედების) ქვაბის მეშვეობით. სახარშ ქვაბში ხდება ნედლეულის გაცხელება, რომელსაც მოყვება თევზის ძვლისა და კუნთოვანი სტრუქტურის დაშლა და თევზის ცხიმის გამოყოფა.

საწარმოში ასნ-ის წარმოქმნა ხდება ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა წერტილში: ნედლეულის შრობის პროცესში, როცა სუნო მოყვება ორთქლს.

ნედლეულის შრობის პროცესში გამოტყორცნილ ასნ-ის მქონე ჰაერს მისი გაწმენდა შესაძლებელია რამოდენიმე სქემით. ქვემოთ მოყვანილია სქემა, რომელიც ასნ-ით დაბინძურებული ჰაერის გაწმენდის შესაძლებლობას იძლევა. სქემა შერჩეული იქნა სხვადასხვა სახის გამწმენდ დანადგარებს შორის, როგორც შედარებით ყველაზე მარტივი და საკმაოდ ეფექტური.

სქემა, რომელიც ასახულია ქვემოთ მოყვანილ მე-2. ნახაზზე, გამოყენებული ქ. სოჭის თევზის გადამამუშავებელ საამქროში. სქემის მიხედვით გამოყენებულია ორი აბსორბერი დამზადებულია მინა პლასტიკური მასალისაგან (შესაძლებელია ალუმინისაგან), რომლის ზომებია H=2მ D=1,0მ (АВК PG 10-0,7-0,004 ტიპი). ჰაერის შეწოვა სახარში ქვაბიდან, საშრობიდან, საწნეხი დანადგარიდან და გაშრობილი მასის დამაქუცმაცებელ დანადგარიდან გაიწოვება ვენტილატორების მეშვეობით და ერთი სახით შედის 2(1) აბსორბერში, ამავე აბსორბერში შედის ასევე ორთქლაირინი ნარევი ვაკუმური ტუმბოებიდან. 2(1) აბსორბერი წარმოადგენს გაწმენდის პირველ საფეხურს. 2(1) აბსორბერს ასევე მიეწოდება წყალი მფრქვევანების სახით. წყლის მიწოდების მიზანია გააგრილოს აბსორბერში შესული აირები, ამასთან ხდება აირების გაწმენდა მათში მოხვედრილი თევზის ძვლის ფქვილისაგან. 2(1) აბსორბერში შესული წყალი აბსორბერის ბოლოს მოთავსებული მილის მეშვეობით გამოედინება და მიემართება სხვა ჩამდინარე წყლებთან ერთად წყლის გამწმენდ ნაგებობაში. გაგრილებული აირი 2(1) აბსორბერის ზედა ნაწილიდან გადადის მეორე აბსორბერში 2(2) გამწოვი ვენტილატორის (1) დახმარებით. ზემოთ აღნიშნული ორი აბსორბერის გარდა სქემაში ჩართულია ავზი (3) (ნებისმიერი კონფიგურაციის), რომელსაც მიეწოდება წყლის ქსელიდან წყალი, მასში შედის ასევე 2(2) აბსორბერის ქვედა ნაწილიდან გამოსული წყალი, ასევე კირქლორის ხსნარი. ავზიდან (3) ტუმბოთი (4) კირქლორიანი ხსნარი მიეწოდება 2(2) აბსორბერს. აბსორბერში 2(2) შესული ხსნარი გაიფილტრება მფრქვევანას საშუალებით. კირქლორიანი ხსნარის გავლის შემდეგ ასნ-სგან გაწმენდილი აირი გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. პროცედურის დამთავრების შემდეგ 2(2) აბსორბერში გამოყენებული ხსნარი (ან ჭარბი ხსნარი) გადმოედინება მილსადენით და სხვა ჩამდინარე წყლებთან ერთად გადაედინება წყლის გამწმენდ ნაგებობაში.

ნახ. 2. ასნ-ით დაბინძურებული ჰაერის ორსაფეხურიანი დეზედორაცია



<u>ექსპლიკაცია</u>

1. ვენტილაცია
2. აბსორბერები
3. ლითონის რეზერვუარი
4. ტუმბო

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: მტვერი, ნახშირბადის, გოგირდის, აზოტის ოქსიდები და ჭვარტლი. რაც შეეხება ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემის ფუნქციონირებას, ის არ გამოიწვევს ატმოსეროში დამატებით რაიმე მავნე ნივთიერებების გაფრქვევას.

საწარმოო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება როგორც ტექნოლოგიურ პროცესში, ასევე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. წყლის მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო ფეკალური წყლების ჩაშვება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში.

ტექნოლოგიური პროცესისათვის წყლის აღება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო გაციების სისტემაში მოხმარებული წყალი აიღება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილებიდან, რომელზედაც აღებულია შესაბამისი ლიცენზიები. ხოლო რაც შეეხება ტექნოლოგიურ პროცესებში წარმოქმნილ ჩამდინარე წყლებს, შიდა საკანალიზაციო ქსელით ჩაედინება მდ. რიონში. ჩამდინარე წყლებში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების დასაშვებ ნორმეზე დასაყვანად დაიგეგმა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, დამატებით გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათი გაწმენდა დასაშვებ კონცენტრაციამდე.

საწ: რმოს მთლიანი ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, აღნიშნული ტერ ;იტორია წარმოადგენ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიას, მით უმეტეს სალექარის მოწ ;ყობა არ გამოიწვევს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანებას.

საღ ;ექარის მონტაჟისას და ფუნქციონირებისას ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოს ;ალოდნელი, რადგან მისი ფუნქციონერება არ იქნება ხმაურის წარმოქმნის წყარო.

საღ ;ექარის ფუნქციონირება არ გამოიწვევს საწარმოში დამატებითი პერსონალის გაზრდას, რადგან მას მო ;მსახურება საწარმოში დასაქმებული პერსონალი.

გამ ;წმენდი ნაგებობის ფუნქციონირება რაიმე ზეგავლენას ვერ მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარ ;ემოზე, გარდა იმისა, რომ გაუმჯობესებს ჩამდინარე წყლების ხარისხს.

გამ ;წმენდი დანადგარის მონტაჟის პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არ ;ებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწ ;არმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თ ;ანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დ ;ცვის სამინისტროს.

გა ;წმენდი დანადგარების მონტაჟისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გა ;მოყენებული.

ჩა ;მდინარე წყლების გამწმენდი დანადგარის ფუნქციონირების პერიოდში კუმულაციური ზემოქმედება არ ა ;ის მოსალოდნელი, რადგან ანალოგიური ტიპის დანადგარი მის სიახლოვეს არ ფუნქციონირებს.

ჩ ;მდინარე წყლების გამწმენდი დანადგარის ფუნქციონირების პერიოდში მოსალოდნელია სალექარში დ ;აჭერილი ორგანული ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც გატანილი იქნება ადგილობრივ მუნიციპალურ ნ ;გავსაყრელში.

ჩ ;მდინარე წყლების გამწმენდი დანადგარის მონტაჟი და ფუნქციონირება არ ითვალისწინებს ხანძარსაშიში ნ ;ა ფეთქებადსაშიში ნივთიერებების გამოყენებას, ასევე მისი განთავსების ტერიტორია არ არის წ ;არმოდგენილი ხშირი ტყით დაფარული ტერიტორიები (საერთოდ არ არსებობს), სადაც ხანძარი შეიძლება ს ;წრაფად გავრცელდეს. ყოველივე აქედან გამომდინარე მაშტაბური სიდიდის ავარიის ან/და ;ატასტროფების რისკები მოსალოდნელი არ არის. ავარიული სიტუაცია შესაძლებელია დაფიქსიდეს ;ხოლოდ გამწმენდი ნაგებობის მწყობრიდან გამოსვლით, რომლის დროს შესაძლებელია ჩამდინარე ;ყლებში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია მოიმატოს. ამ შემთხვევაში მოხდება საწარმოს გაჩერება და ;უწესრიგობის აღმოფხვრა.

;აქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ;ამდენან მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი. მით უმეტეს, საერთოდ გამწმენდი ნაგებობის ;ფუნქციონირება ვერ მოახდენს რაიმე ზეგავლენას, რადგან მისგან გამოსული გასუფთავებული წყალი ;ჩაშებული იქნება მდ. რიონში, რომელიც გაედინება საწარმოს სიახლოვეს. ჩაშვების წერტილის ;კორდინატებია: X=228074; Y= 4675520

;საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში არ არსებობს საქართველოს კანონით და საერთაშორისო კონვეციით დაცული ტერიტორიები. დაცულ ტერიტორიებზე რაიმე სახით ზემოქმედები პრაქტიკულად გამორიცხულია.

;საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სიახლოვეს რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ გვხდება, არც ლიტერატურული წყაროებით არ არის აღწერილი. აქედან გამომდინარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე რაიმე სახით ზემოქმედება პრაქტიკულად გამორიცხულია.

საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პატივისცემით,

შ.პ.ს.,,ზღვის პროდუქტები"-ს დირექტორი დავით წიწილაშვილი